

დამტკიცებულია რექტორის №59 ბრძანებით (06.03.2015),
რედაქტირებულია რექტორის ბრძანებით №120 ბრძანებით (07.10.2015)
რედაქტირებულია აკადემიური საბჭოს №1 დადგენილებით (28.10.2016)

დანართი 1

სასწავლო უნივერსიტეტის „ბაჟ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წინამდებარე წესი (შემდგომში „წესი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ბაჟ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წესდების საფუძველზე და განსაზღვრავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

3. პირველი საფეხური - ბაკალავრიატი - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს.

4. მეორე საფეხური - მაგისტრატურა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს.

5. სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით, რაც გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის - 300 კრედიტს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს ფაკულტეტის აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი. პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისამათან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტის, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს.

2. საგანმანათლებლო პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში, დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და მის ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან რიგ შემთხვევაში დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირი.

4. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე დატანილი უნდა იყოს „ბაჟინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმის“ ლოგო, ასევე უნდა მიეთითოს

უნივერსიტეტის სრული დასახელება, შესაბამისი ფაკულტეტი, უმაღლესი განათლების საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებით, პროგრამის ხელმძღვანელი/ები, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების რეკვიზიტები.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

ა. სწავლების ენა

ბ. პროგრამის მიზანი - რომელიც მიმართულია სტუდენტისთვის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე. დასაბუთდეს პროგრამის აქტუალობა, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები კურსდამთავრებულის მიმართ;

გ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - უნდა მიეთითოს, როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა, რა წინაპირობები არსებობს პროგრამაზე დასაშვებად;

დ. სწავლის შედეგები - განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

ე. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ვ. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში);

ზ. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება: ა) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია, ჯგუფში მუშაობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდები და დამოუკიდებელი) გათვლილი ასტრონომიულ საათებში.

სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან (დანართი1);

თ. პროგრამას უნდა დაერთოს სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები;

სილაბუსი უნდა მოიცავდეს (დანართი 2):

- სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება;
- სასწავლო კურსის კოდი;
- სემესტრი;
- სასწავლო კურსის/მოდულის ტიპი (სავალდებულოა თუ არჩევითი);
- კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
- ფაკულტეტისა და პროგრამის სახელწოდება;
- სასწავლო კურსის განმანხორციელებლები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სასწავლო კურსის ფორმატი;
- დაშვების წინაპირობები;
- სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;
- სწავლების მეთოდები;

- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
- ძირითადი ლიტერატურა;
- დამხმარე ლიტერატურა;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- სწავლის შედეგები;

(რეკომენდებულია სილაბუსი შესრულდეს დანართი 2-ში მოცემული ფორმატით).

კ. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

ლ. ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;

მ. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი.

6. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 3. პროგრამაზე ჩარიცხვა/ სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. “ბაჟ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი” სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის არის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;

2. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი დოკუმენტების - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი, პირადობის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონული ვერსიით) და სამხედრო მიწერის მოწმობა ან აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის), დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ რექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ; პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მომართავს დაწესებულებას, კარგავს ჩარიცხვის უფლებას.

3. ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლებას ფლობს:

- უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება,
- საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლა უცხო ქვეყანაში.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის წინაპირობაა:

- ზღვრული კონტიგენტის ფარგლებში ვაკანტური ადგილის არსებობა და რექტორის წერილობითი თანხმობა პირის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების შესახებ;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება სწავლის უფლების მინიჭების შესახებ;
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (საერთაშორისო სერტიფიკატი, ან პარტნიორ უნივერსიტეტში ჩაბარებული გამოცდა);
- 4. დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
- 5. უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება (დანართი 3, 4, 5).

მუხლი 4. მობილობის წესით ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვა მობილობის წესით ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ” შესაბამისად, უნივერსიტეტისათვის დადგენილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში. მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, უმაღლესი განათლების ცალკეული საფეხურისთვის განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე. და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

2. მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისთვის არის დაწესებულების სტუდენტი. მობილობის უფლება ასევე აქვთ:

- პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი;
- პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
- სტატუსშეწყვეტილ პირს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.
- მობილობის უფლება ასევე აქვს უცხო ქვეყნის ან ოკუპირებული ტერიტორიის უსდ-ს სტუდენტს, რომლის მიერ გავლილი პროგრამა აღიარებული იქნება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ან დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე უნივერსიტეტის მიერ დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე წელიწადში ორჯერ, უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

5. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით;

6. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მობილობის მსურველმა სტუდენტმა დადგენილ ვადებში უნდა მომართოს უნივერსიტეტის განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- სრული ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი (2005 წლიდან ეროვნულ გამოცდებით ჩაბარებული სტუდენტებისთვის);
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის ასლი;
- წვევამდელის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის);
- 2 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონული ვერსიით)

7. მობილობის წესით სტუდენტი უნივერსიტეტში ჩაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ დადგინდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა. კრედიტების აღიარება მოხდება „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად; შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებაში არსებული სხვაობის მიუხედავად, ასევე შესაძლებელია მოხდეს იმ კურსების/კრედიტების აღიარება, რომელიც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. თუ მობილობის განხორციელების მომენტისთვის კრედიტებს შორის სხვაობა არ აღემატება 15-ს, მობილობის მსურველი პირი სწავლას აგრძელებს შესაბამისი სემესტრიდან.

8. კომისიის მოტივირებული გადაწყვეტილების და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე უნივერსიტეტი შეიმუშავებს მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

9. სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანებას რექტორი გამოსცემს პროექტზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის საფუძველზე, მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ პირადი საქმის წარმოდგენის შემდეგ.

10. მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას რექტორი გამოსცემს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა შემოდგომის და 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში ბრძანება იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

11. მობილობის უფლებამოპოვებული პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მომართავს უნივერსიტეტს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე კარგავს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. დასაშვებია სტუდენტთა მობილობა უნივერსიტეტის ფაკულტეტის ფარგლებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის (შიდა მობილობა). შიდა მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ამტკიცებს აკადემიური საბჭო. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს სწავლების 1 წლის მე-2 სემესტრიდან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- აკადემიური შვებულება;
- ორსულობა;
- ავადმყოფობა;
- ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობა;
- უნივერსიტეტში გამოუცხადებლობა კრედიტების დაგროვებისთვის საჭირო გონიერივ ვადაში;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- სწავლის საფასურის დათემულ ვადაში გადაუხდელობა - ფინანსური დავალიანება;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა მმიმე ან განსაკუთრებით მმიმე დანაშაულისთვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

1.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება

სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.2. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი „სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად.

1.3. სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

1.4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლება მომდევნო სასწავლო წლისთვის დადგენილი სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
- პირადი განცხადება;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის;
- ერთი და იმავე სასწავლო კურსის ზედიზედ სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;
- უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სხვა სტუდენტების, მიმართ;
- გარდაცვალება.

2.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის მიერ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაცემთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მობილობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 6. სწავლის საფასური

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება პარტნიორთა კრების დადგენილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით და მისი გადახდის წესი რეგულირდება „სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება

1. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათში.

2. უნივერსიტეტში სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (40 კვირა) განმავლობაში შეადგენს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება 1800 ასტრონომიულ საათს. 1 კრედიტი 30 ასტრონომიული საათია. სტუდენტის დატვირთვა მოიცავს საკონტაქტო აქტივობას - ლექციებზე, ჯგუფურ მეცადინეობებზე (პრაქტიკული, ლაბორატორიული, სემინარი, კურაცია) დასწრება, პრაქტიკა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება და დამოუკიდებელ მუშაობას. ერთი ლექციის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს. დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა წელიწადში.

3. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა პროგრამის შემადგენელი ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად, სწავლის შედეგების მისაღწევად და არ შეიძლება გაანგარიშებული იქნას სტუდენტის მიერ მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებული საკონტაქტო საათების მიხედვით.

4. კრედიტები ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტზე (სასწავლო კურსი, პრაქტიკა და სხვა) და ეფუძნება საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

5. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ყველა სასწავლო კურსი ერთსემესტრიანია.

6. უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ არჩევით სასწავლო კურსებს. სტუდენტი ყოველი სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში გადის ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების არჩევას და შესაბამისი კრედიტების ათვისებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას დანართი 3/ დანართი 4/ დანართი 5-ის შესაბამისად). დაუშვებელია სტუდენტის არჩევანის (როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი, ან არჩევითი სპეციალობის კურსების/მოდულების) შეცვლა სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ.

მუხლი 8. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება რეგულირდება „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება წესის“ შესაბამისად

მუხლი 9. სტუდენტის მიღწევების შეფასება/შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტს კრედიტი ენიჭება სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც დასტურდება მის მიერ მიღებული დადებითი შეფასებით. უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

1. მიმდინარე ზეპირ ან წერით გამოკითხვას, პროექტის მომზადება-პრეზენტაციას, ლაბორატორიული სამუშაოს შეფასებას ან სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ დადგენილ, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე რაიმე სხვა აქტივობას, რაც დაწვრილებით არის გაწერილი სასწავლო კურსის

2. შუალედურ/ბლოკის გამოცდას

3. დასკვნითი გამოცდას, რომელიც სავალდებულოა ყველა სასწავლო კურსისათვის.

9.1. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ინტეგრირებული სწავლებისას

ინტეგრირებული სწავლების ფორმის შემთხვევაში გამოიყენება სწავლების ბლოკური პრინციპი, სადაც ერთ ბლოკის ფარგლებში გაერთიანებულია 2 (ორი) ან/და მეტი სასწავლო კურსი.

შეფასების ფორმები და მათი თანაფარდობა

სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი შეფასების ფორმები (ცხ.1):

1. ბლოკის საბოლოო შეფასება შედგება ბლოკის მიმდინარე შეფასებისა და დასკვნითი გამცდისაგან, პირველის წილი 40%-ია, ხოლო მეორესი 60%
2. დასკვნითი/ფინალური გამოცდა, რომლის წილია 60%
3. ბლოკის მიმდინარე შეფასება, რომლის წილი ბლოკის საბოლოო შეფასებაში შეადგენს 40 %
4. ბლოკის მიმდინარე შეფასება თავის მხრივ შედგება ორი კომპონენტისგან, კერძოდ, ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასებისგან და ბლოკის გამოცდისგან, სადაც შესაბამისად პირველის წილი შეადგენს 40% და მეორესი - 60%.
5. ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიცავდეს ლაბორატორიულის შეფასებას და/ან პრაქტიკული მეცადინეობის შეფასებას, სადაც ლაბორატორიულის წილი შეადგენს 60% და პრაქტიკულის შესაბამისად - 40%.
6. ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება მხოლოდ ერთი კომპონენტისაგან, ან ლაბორატორიული / ან პრაქტიკული მეცადინეობისაგან შედგებოდეს, ამ შემთხვევაში შეფასების პროცენტული გადანაწილება არ მოხდება.
7. ბლოკის საბოლოო შეფასების მაქსიმუმი 100%, მინიმალური კი - 51%.

ცხრილი 1

შეფასების ფორმები და მათი თანაფარდობა

ბლოკის საბოლოო შეფასება 100 % (51 – 100 ქულა)		
ბლოკის მიმდინარე შეფასება - 40%	დასკვნითი გამოცდა - 60%	
ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება 40%	ბლოკის გამოცდა 60%	
ლაბორატორიულის შეფასება 60%	პრაქტიკულის შეფასება 40%	

შეფასების სისტემის უკეთ გასაგებად განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

ბლოკ MED 1003-ში წარმოდგენილია 7 სასწავლო კურსი.

საათების საერთო რაოდენობა შეადგენს 73-ს, სადაც საათების გადანაწილების შესაბამისად გამოთვლილია სასწავლო კურსის პროცენტული წილი (ცხ.2), რომლის მიხედვითაც

ბლოკის გამოცდაზე და დასკვნით გამოცდაზე ნაწილდება საგამოცდო ტესტების ან საკითხების რაოდენობა შემდეგნაერად:

ცხრილი 2

სასწავლო კურსი	სთ	% წილი
ციტოლოგია	10	13,7
სამედიცინო მიკრობიოლოგია	2	2,5
ბიოქიმია	15	20,5
ბიოფიზიკა	8	11
ანატომია	24	32,9
მტ. დაფუძნებული მედიცინა	6	8,2
სამედიცინო ბიოლოგია	8	11
სულ	73	100

პროცენტული წილის გათვალისწინებით პედაგოგის მიერ უნდა მომზადდეს საკითხების შესაბამისი რაოდენობა ბლოკის და დასკვნითი გამოცდისათვის.

ბლოკში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება თითოეულ კომპონენტში ცალკ-ცალკე (ლაბორატორიული/პრაქტიკული თუ აქცს ასე კომპონენტებად დაყოფილი), 100 ქულიანია. თითოეული სასწავლო კურსის პედაგოგს შეუძლია ჩაშალოს ლაბორატორიის კომპონენტი და პრაქტიკულის კომპონენტი ქვეკომპონენტებად 100 ქულის ფარგლებში, მაგ: ცხ.3 და ცხ. 4 -ში მოცემულია კონკრეტული ჩაშლა, ხუთი ლაბორატორიული მეცადინეობისა და ოთხი ჯგუფში მუშაობის შემთხვევაში.

*პედაგოგი თავად განსაზღვრავს ლაბორატორიულზე და პრაქტიკულზე ქულათა ჩაშლას 100 ქულის ფარგლებში.

ცხრილი 3

ლაბორატორიული	1	2	3	4	5	ლაბ-ის საბოლოო შეფასება
სატუდენტის მაქსიმალური შეფასება	20	20	20	20	20	100

ცხრილი 4

პრაქტიკული	1	2	3	4	პრ-ის საბოლოო შეფასება
სატუდენტის მაქსიმალური შეფასება	25	25	25	25	100

შემდგომ ეს ლაბორატორიულის ქულა (100 ქულის ფარგლებში შეფასებული) უნდა გადაანგარიშდეს 60 %-ზე, ხოლო პრაქტიკულის ქულა (ასევე 100 ქულის ფარგლებში შეფასებული) 40%-ზე, რადგან მათი თანაფარდობა 60/40-ზეა. მიღებული პროცენტების

არითმეტიკული ჯამი შეადგენს კონკრეტული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებას ბლოკში.

პედაგოგი ვალდებულია გადასცეს დეკანატს მონაცემები ყველა სტუდენტის საბოლოო შეფასების თაობაზე შემდეგი სახით, მაგ: სამედიცინო ბიოლოგიის სასწავლო კურსის (რომელიც ბლოკ MED 1001-ის ნაწილია) საბოლოო შეფასება მოცემულია ორი სტუდენტის მაგალითზე ცხ. 5-ში. სტუდენტ 1-ის ლაბორატორიული კომპონენტის ქულაა 80, ხოლო პრაქტიკულის ქულა 62, პროცენტული გადანაწილება (60/40) გულისხმობს: ლაბორატორიული კომპონენტის 80 ქულის 60%-ს ანუ, $80 \times 60 / 100 = 48\%$: იგივე გადაანგარიშდება პრაქტიკულთან მიმართებაში 40%-ზე: $62 \times 40 / 100 = 24,8\%$, სასწავლო კურს სამედიცინო ბიოლოგიის საბოლოო შეფასება ბლოკში არის $48 + 24,8 = 72,8$

ცხრილი 5

LTD "BAU International University, Batumi"

Assessment calculating in Percentage Distribution

N/N	სტუდენტის სახელი გვარი	MED1001				
		სამედიცინო ბიოლ.	სამედიცინო ბიოლ.	მიმდინარე ლაბ. 60%	მიმდინარე პრ. 40%	სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება
1	სტუდენტი 1	80	62	48	24,8	72,8
2	სტუდენტი 2	75	54	45	21,6	66,6
3	სტუდენტი 3	80	64	48	25,6	73,6

როგორც წესი, სხვადასხვა სასწავლო კურსს ასწავლის სხვადასხვა პედაგოგი, რომელიც ვალდებულია შეაფასოს თითოეული სტუდენტის ცოდნა და გამოთვალოს მოცემული სასწავლო კურსის ფარგლებში საბოლოო ქულა.

ბლოკის დასრულების შემდეგ ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება თითოეული სტუდენტისათვის გამოიხატება ერთი კონკრეტული ქულით, რომელიც მიიღება ბლოკში შემავალი სასწავლო კურსების საბოლოო ქულების საშუალო არითმეტიკულით (average), $(70+72,8+92+95)/4=82,45$ (ცხ.6), რომელიც შემდგომ გადაანგარიშდება 40%-ზე, ანუ $82,45 \times 40 / 100 = 32,98$

ბლოკის გამოცდაზე მიღებული ქულა (65) გადაანგარიშდება 60%-ზე, ანუ $65 \times 60 / 100 = 39$ (ცხ.6).

ბლოკის მიმდინარე შეფასება იქმნება ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასებისა და ბლოკის გამოცდის შეფასებების პროცენტული გადანაწილების (ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება 40% / ბლოკის გამოცდა 60%) შემდგომ მიღებული ჯამით. ანუ, $32,98 + 39 = 71,98$

ბლოკის საბოლოო შეფასება მიიღება ბლოკის მიმდინარე შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებების პროცენტული გადანაწილების შემდგომ მიღებული (40%-ბლოკის მიმდინარე შეფასება/60%-დასკვნითი გამოცდა) ჯამით. ანუ ბლოკის მიმდინარე შეფასების 40% ნიშნავს: $71.98 \times 40 / 100 = 28.79$ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულის 60% ნიშნავს: $57 \times 60 / 100 = 34.2$ (ცხ.6).

ბლოკის საბოლოო შეფასება იქნება 38.79+34.2=62.99 (ცხ.6).

ცხრილი 6

N/N	Students N/S	MED1001																	
		Anatomy	Cytology	Embriology	Histology	Med. Biol/Med. Gen	Med.Microbiology	Biochemistry	Biophysics	EBM	Bioinformatics	Average	BL Exam Score	Current (Lab+PR) 40%	BL Exam Score Cal 60%	TOTAL CURRENT (Lab+PR+BL E) 40%+60%	FINAL Ex Score	TOTAL CURRENT Score cal 40%	FINAL Exam Score Cal 60%
1	student 1	70				72,8		92	95		82,45	65	32,98	39	71,98	57	28,792	34,2	62,992
2	student 2	55,0				66,6		92	95		77,15	35	30,86	21	51,86	86	20,744	51,6	72,344

ცხრილ 6 გამოყენებული ტერმინების განმარტება:

Average- ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება გამოხატული ქულით

Current (Lab+PR) 40%-ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება გადაანგარიშებული პროცენტში

BL Exam Score- ბლოკის გამოცდის შეფასება გამოხატული ქულით

BL exam Score Cal 60% - ბლოკის გამოცდის შეფასება გადაანგარიშებული პროცენტში

TOTAL CURRENT (Lab+PR+BL E) 40%+60%- ბლოკის მიმდინარე შეფასება (ბლ. მიმდ აქტივობის % და ბლოკის გამოცდის % ჯამი)

FINAL Ex Score - ბლოკის დასკვნითი გამოცდის შეფასება გამოხატული ქულით

FINAL Ex Score Cal 60%- ბლოკის დასკვნითი გამოცდის შეფასება გადაანგარიშებული პროცენტში

TOTAL CURRENT Score cal 40%-ბლოკის მიმდინარე შეფასება გადაანგარიშებული პროცენტში

TOTAL Final assessment 60%+40%- ბლოკის საბოლოო შეფასება (ბლ. მიმდ შეფასების % და ბლოკის გამოცდის შეფასების % ჯამი)

9.2. დასკვნითი გამოცდა

სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დამვების წინაპირობაა ლექციებზე და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება. სტუდენტი უნდა დაესწროს ლექციების 70%-ს და ხოლო ლაბორატორიული მეცადინეობების 80%-ს, სხვა შემთხვევაში ის დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება და დასკვნითი გამოცდა ჩაჭრილად ეთვლება.

დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გადალახავს ბლოკში შემავალი იმ სასწავლო კურსების 50% ბარიერს, რომლის წილი ყველაზე მაღალია.

ამასთანავე, დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ ზემოთხსენებული პუნქტების გათვალისწინებით სტუდენტი გადალახავს გამოცდის საბოლოო შეფასების 50%.

თუ სტუდენტის ბლოკის საბოლოო შეფასება 51%-ზე ნაკლებია, ბლოკი არ ეთვლება ათვისებულად და თავიდან უნდა შეისწავლოს.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს წერითი ან ტესტირებული ფორმით. მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დასკვნითი გამოცდა შესაძლოა მოიცავდეს კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასებასაც.

სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

- ლექციების 30%-ზე მეტის და ლაბორატორიულების 20%-ზე მეტის გაცდენა;
- გამოცდის 50% ბარიერის გადაულახავობა;
- გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის თვითნებურად დატოვება;
- შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;
- გამოცდაზე საუბრის, ხმაურის, სხვა სტუდენტისთვის ხელის შეშლის, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენების შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება „ნული“.

დასკვნითი გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების (საპატიო მიზეზის მითითებით და დასაბუთებით) ან ავადმყოფობის შესახებ ცნობის წარმოდგენის საფუძველზე. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანი.

დასკვნით გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა საგნის გადაბარების შესაძლებლობა დამატებითი გამოცდით.

დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით მოაგროვა 41-50 ქულა.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღე.

უნივერსიტეტში დასკვნითი გამოცდისთვის გათვალისწინებულია 2 სთ საკონტაქტო დრო.

სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები ფორმდება საგამოცდო უწყისში (**დანართი 7**).

გამოცდაზე მიღებული შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) დასაშვებია სააპელაციო კომისიაში შეფასების გამოცხადებიდან არაუგვიანეს სამი დღის განმავლობაში.

დეკანატის მიერ შემუშავებული და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგამოცდო ცხრილი უნივერსიტეტში გამოიკვრება სასესიო პერიოდის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება 51-დან 100-მდე ქულის დაგროვების შემთხვევაში. არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.

სტუდენტის ECTS სისტემით შეფასება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი
51-60 (E)	საკმარისი
41-50 (FX)	ვერ ჩაბარა - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
0-40 (F)	ჩაიჭრა - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს გასავლელი

სტუდენტის მიერ ცალკეულ კურსების ათვისება მოხდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით.

შეფასების 100-ქულიანი სისტემა ვრცელდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტზე, მათ შორის პრაქტიკაზე, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომზე.

უნივერსიტეტში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. GPA = $\Sigma G_i \cdot C_i / \Sigma C_i$, სადაც GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.

9.3. შეფასების კრიტერიუმები:

შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე სტუდენტის ცოდნა ფასდება ტესტირებით ან ვერბალური/წერილობითი ფორმით, რასაც განსაზღვრავს კურსის განმახორციელებელი და მიეთითება შესაბამის სილაბუსში.

ხუთქულიანი სისტემა:

5 ქულა - პასუხი სრულია, ნათლად ჩანს სტუდენტის აზროვნების უნარი. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც მირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

4 ქულა - პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ ნაკლებად იგრძნობა დამოუკიდებელი აზროვნება; ტერმინოლოგია გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; ათვისებული აქვს მირითადი ლიტერატურა.

3 ქულა - პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, მაგრამ უფრო გაზიარებულია ვიდრე გააზრებული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

2 ქულა - პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული მირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტი.

0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

ათქულიანი სისტემა:

10 ქულა – საკითხი იცის ღრმად და საფუძვლიანად: გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. სტუდენტი სხარტად აზროვნებს და გადმოსცემს მოსაზრებას დასმული პრობლემური შეკითხვის ირგვლივ. პასუხი ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს მირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

9 ქულა – საკითხი იცის საფუძვლიანად: გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. სტუდენტი აზროვნებს, მაგრამ დასმული პრობლემური შეკითხვის ირგვლივ აზრის გადმოცემისას ნაკლებ დამაჯერებელია. პასუხი ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს მირითადი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

8 ქულა – საკითხი იცის საფუძვლიანად: გადმოსცემს თანმიმდევრობით. სტუდენტი აზროვნებს, მაგრამ დასმული პრობლემური შეკითხვის ირგვლივ აზრის გადმოცემისას ნაკლებ ლაკონურია. ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს მირითადი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

7 ქულა – საკითხი იცის ნაკლებ საფუძვლიანად: პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, პრობლემურ შეკითხვაზე უჭირს მსჯელობა. პასუხი ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, ავლენს საკითხების საშუალო დონის ცოდნას, ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა. უჭირს დასკვნების გაკეთება.

6 ქულა – პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, ავლენს საკითხების საშუალო დონის ცოდნას, უჭირს დასკვნების გაკეთება.

5 ქულა – პასუხი არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, პრობლემური შეკითხვას ვერ პასუხობს. ავლენს საკითხების საშუალო დონის ცოდნას, უჭირს დასკვნების გაკეთება.

4 ქულა – პასუხი ზოგადი ხასიათისაა, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია. არ ჩანს ლიტერატურის გამოყენების სათანოდოდ ფლობა.

3 ქულა – პასუხი ზოგადი ხასიათისაა, შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია. უჭირს მსჯელობა და აზროვნება საკითხის ირგვლივ. არ ჩანს ლიტერატურის გამოყენების სათანოდოდ ფლობა.

2 ქულა – პასუხი ზოგადია, საერთოდ არ ჩანს მსჯელობის უნარი, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია.

1 ქულა – პასუხი არადამაკმაყოფილებელია, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, მასალის გადმოცემა ქაოტური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მცდარი, არ იცნობს ლიტერატურას.

0 ქულა – სტუდენტი საერთოდ ვერ ავლენს საკითხების გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

პრეზენტაცია/პროექტი/სემინარი/დისკუსია - ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით

1. პრობლემის აქტუალობა - 1 ქულა;
2. აკადემიური მხარე - 1 ქულა;
3. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის (მონაცემების) მიმოხილვა - 1 ქულა;
4. კვლევის მეთოდის შესაბამისობა კვლევის მიზანთან - 1 ქულა;
5. არგუმენტაციის ლოგიკურობა - 1 ქულა;
6. დასკვნის სისწორე და კავშირი მირითად ტექსტთან - 1 ქულა;
7. მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 1 ქულა;
8. კამათის და მოსმენის კულტურა- 1 ქულა;
9. ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, სანდო წყაროები - 1 ქულა;
10. გამართული ენა და სტილი- 1 ქულა;

კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება - მაქსიმუმ 10 ქულა

- მანიპულაციის შესრულების ზუსტი თანმიმდევრულობა -2ქულა
- პაციენტის და საკუთარი უსაფრთხოების დაცვა -2ქულა
- პაციენტთან კომუნიკაცია -2 ქულა
- შეზღუდულ დროში სწრაფი ორიენტირების უნარი -2ქულა
- პაციენტისაგან ინფორმაციული თანხმობის მიღებისა და პროცედურისათვის მომზადების უნარი -2 ქულა

ავადმყოფობის ისტორიის ნიმუშის წარმოება შეფასება -მაქსიმალური 10 ქულა

9-10 ქულა - ისტორია თანმიმდევრულად შევსებულია და მასში შემავალი ყველა კომპონენტი სწორი ტერმინოლოგიით დეტალურადაა აღწერილი. გამოკვლევის გეგმა – სრულია, დიაგნოზი სწორად ფორმულირებული და მკურნალობის სქემა ადექვატურია და მოიცავს პრეპარატების ნუსხას სწორი დასახელებითა და დოზირებით.

7-8 ქულა - ყველა კომპონენტი თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი და სწორი ტერმინოლოგიით აღწერილი. გამოკვლევის გეგმა – სრულია, დიაგნოზი სწორად ფორმულირებული და მკურნალობის სქემა ადექვატური, პრეპარატები – სწორადაა გამოწერილი.

5-6 ქულა – მოიცავს ისტორიის ყველა კომპონენტს, მაგრამ არათანმიმდევრულად და მცდარი ტერმინოლოგიით. გამოკვლევის გეგმა – არასრულია, დიაგნოზი შეესაბამება კლინიკურ მონაცემებს, მაგრამ არასრულია ფორმულირება. მკურნალობის სქემა ადექვატურია და მოიცავს პრეპარატების სრულ ნუსხას.

3-4 ქულა – ისტორიის კომპონენტები არასრული და არათანმიმდევრულია, დიაგნოზი შეესაბამება სიმპტომოკომპლექსს, მაგრამ დაუსაბუთებელია., მკურნალობის სქემა – ადექვატურია, პრეპარატები არასრულადაა წარმოდგენილი.

1-2 ქულა – ისტორია სქემატურადაა წარმოდგენილი.

0 ქულა – დავალება არ არის შესრულებული.

ლაბორატორიული მუშაობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

5 ქულა - სამუშაო/ცდა/ამოცანა სწორად არის დაგეგმილი. სტუდენტი ზუსტად იყენებს ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურას, აკეთებს სწორ ჩანაწერებს, ადვილად პოულობს დაშვებულ შეცდომას და გეგმავს გამოსწორების გზას. აანალიზებს ჩატარებულ მეთოდს და ახდენს შედეგების სწორ ინტერპრეტაციას. ლაბორატორიული სამუშაო ზუსტად და ამომწურავად არის შესრულებული.

4 ქულა - სამუშაო/ცდა/ამოცანა სწორად არის დაგეგმილი. სტუდენტი ზუსტად იყენებს ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურას, აკეთებს სწორ ჩანაწერებს, ადვილად პოულობს დაშვებულ შეცდომას და გეგმავს გამოსწორების გზას, მაგრამ უჭირს შედეგების ანალიზი. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია მცირედი ხარვეზებით.

3 ქულა - სამუშაო/ცდა/ამოცანა სწორად არის დაგეგმილი. სტუდენტი ზუსტად იყენებს ლაბორატორიულ ხელსაწყოებს. აპარატურის გამოყენებისას უშვებს მცირედ შეცდომებს, აკეთებს სწორ ჩანაწერებს, მაგრამ ვერ პოულობს დაშვებულ შეცდომებს და შესაბამისად უჭირს გამოსწორების გზის ძიება. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია მცირედი ხარვეზებით.

2 ქულა - სამუშაო/ცდა/ამოცანა სწორად არის დაგეგმილი. სტუდენტი ზუსტად იყენებს ლაბორატორიულ ხელსაწყოებს. აპარატურის გამოყენებისას უშვებს არსებით შეცდომებს, ვერ აკეთებს სწორ ჩანაწერებს, ვერ პოულობს დაშვებულ შეცდომებს და შესაბამისად უჭირს გამოსწორების გზის ძიება. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია არსებითი ხარვეზებით.

1 ქულა - სამუშაო/ცდა/ამოცანა ცუდად არის დაგეგმილი. სტუდენტი ცუდად იყენებს ლაბორატორიულ ხელსაწყოებს. აპარატურის გამოყენებისას უშვებს არსებით შეცდომებს, არ შეუძლია მეთოდის ჩანაწერების გაკეთება, ვერ პოულობს დაშვებულ შეცდომებს და შესაბამისად უჭირს გამოსწორების გზის ძიება. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია არსებითი ხარვეზებით.

0 ქულა - სტუდენტმა საერთოდ არ იცის ლაბორატორიული მეთოდი და ხელსაწყო-აპარატურა. სამუშაო არ არის შესრულებული.

რეფერატი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით (მაქსიმუმ 10 ქულა)

1. პრობლემის აქტუალობა - 2 ქულა;
2. საკითხის ირგვლივ არსებული კვლევების მიმოხილვა - 2 ქულა;
3. დასკვნის სისწორე და კავშირი ძირითად ტექსტთან - 2 ქულა;
4. წერის კულტურა - 2 ქულა;
5. წერილობითი მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 1 ქულა;
6. ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, სანდო წყაროები - 1 ქულა;

პროექტის მომზადება და წარდგენა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. პრობლემის აქტუალობა - 1 ქულა;
2. სწორი დაგეგმვარება - 1 ქულა;
3. საკითხის ორგვლივ არსებული ლიტერატურის (მონაცემების) მიმოხილვა - 1 ქულა;
4. კვლევის მეთოდის შესაბამისობა კვლევის მიზანთან - 1 ქულა;
5. დასკვნის სისწორე და კავშირი მირითად ტექსტთან - 1 ქულა;
6. ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, სანდო წყაროები - 1 ქულა;
7. წერის კულტურა - 1 ქულა;
8. გამართული ენა და სტილი - 1 ქულა;
9. მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 1 ქულა;
10. კამათის და მოსმენის კულტურა - 1 ქულა.

როლური თამაში ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ვერბალური კომუნიკაციის უნარი - 4 ქულა;
2. არავერბალური კომუნიკაციის უნარი - 4 ქულა;
3. თეორიული ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრობლემის გადაწყვეტისას - 2 ქულა.

შენიშვნა: ცალკეული კურსის/მოდულის შეფასების კრიტერიუმები, კომპონენტები და მათი ხვედრით წილი განისაზღვრება შესაბამისი კურსის სილაბუსით.

მუხლი 10. სასწავლო წლის რეგლამენტი

1. უნივერსიტეტში სასწავლო წელი 2 სემესტრიანია და გრძელდება 40 კვირა. პირველი სემესტრი 19 კვირა, მეორე სემესტრი 21 კვირა. სააუდიტორიო მუშაობას პირველ სემესტრში ეთმობა 15 კვირა, მეორე სემესტრში 17 კვირა; თითოეულ სემესტრში 4-4 კვირა გათვალისწინებულია სასესიო პერიოდისთვის - 3 კვირა მირითადი, 1 კვირა კი - განმეორებითი გამოცდებისთვის.

2. სასწავლო წლის დაწყების, დასრულების ასევე დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის განკუთვნილი ვადები რეგულირდება ყოველი სემესტრის დაწყებამდე რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

მუხლი 11. დამატებითი სემესტრი

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა შესაბამისი კრედიტები და ვერ მოიპოვა აკადემიური ხარისხი უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა დამატებით სემესტრებში.

მუხლი 12. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

1. სტუდენტს, რომელმაც აითვისა საგანმანათლებლო პროგრამით/ კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები დეკანის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და უწყდება სტუდენტის სტატუსი;

2. აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომლის ფორმა შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე ფინანსთა სამინისტროებთან. დიპლომთან ერთად გაიცემა შესაბამისი დიპლომის დანართი;

3. კურსდამთავრებულს, რომელსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების 75%-ში ექნება შეფასება “ფრიადი”, დანარჩენში კი, “ძალიან კარგი” და “კარგი” გადაეცემა დიპლომი წარჩინებით~.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება/შეცვლა

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული სტუდენტებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სრული განათლების მიცემა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება.

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ალტერნატიულ პროგრამას (არსებობის შემთხვევაში) გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით, უნივერსიტეტში მოქმედი „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად;

3. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას შეცვლილ/გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი პროგრამის არარსებობის შემთხვევაში სხვა დაწესებულებასთან გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებით შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 14. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით შეიძლება ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ ინოვაციურ კვლევას.
3. სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სრული ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო თანამდებობის პირი. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება უნდა მოხდეს დაცვამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. კონკრეტული თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯრების საფუძველზე.
4. სტუდენტმა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს აკინძული და გაფორმების დროს დაცვას შემდეგი ნორმატივები:
 - ა. ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
 - ბ. შრიფტის სახე –Times New Roman;
 - გ. შრიფტის ზომა – 12;
 - დ. სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
 - ე. ფურცლის მარცხენა არე – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზედა – 2 სმ, ქვედა – 2 სმ;

ვ. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 გვერდს, დანართების გარეშე, ხოლო საბაკალავრო ნაშრომისა - არანაკლებ 25 გვერდს.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, აკადემიურმა საბჭომ შეიძლება დაადგინოს კონკრეტულ მიმართულებაში საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების განსხვავებული ნორმატივები.

5. ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა. თავფურცელი – წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 ს-ით, მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით ფაკულტეტის დასახელება. შემდეგ აღინიშნება სტუდენტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში - ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16), ნაშრომის სათაურის შემდეგ იწერება სპეციალობის დასახელება და საძიებელი ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი. თავფურცლის მარჯვენა მხარესაღინიშნება თემის ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა ან აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ.: ბათუმი - 2011);

ბ. ანოტაცია – მოკლედ უნდა აღიწეროს ნაშრომის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, ძირითადი შედეგები (ასევე სამაგისტრო ნაშრომის სიახლე). ანოტაცია არ უნდა აღმატებოდეს 150 სიტყვას.

გ. სარჩევი – თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით;

დ. შესავალი – უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე. ძირითადი ტექსტი – იგი ასახავს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა – წარმოადგენს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, სადაც უნდა აისახოს მიღებული ახალი მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნაში უნდა აისახოს ნაშრომის ძირითადი შედეგები, რაც მოკლედ და კონკრეტულად უნდა პასუხობდეს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს.

ზ. გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ. საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 15 . საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედეგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.

2. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას და ხელმძღვანელს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.

3. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი.

4. საბაკალავრო ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასე-

ბის კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი როგორც კომისიის წევრებისათვის, ისე სტუდენტებისათვისაც.

5. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

6. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. მაგისტრანტი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი და წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.

2. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) ხდება იმ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სამაგისტრო პროგრამა. დეპარტამენტი განიხილავს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობას სამაგისტრო ნაშრომის მიმართ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მაგისტრანტს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. წინასწარი განხილვის გარეშე ნაშრომი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე.

3. განხილული სამაგისტრო ნაშრომისათვის დეპარტამენტი გამოყოფს რეცენზენტს - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევები მეცნიერების იმ დარგში, რომელსაც განეკუთვნება სამაგისტრო ნაშრომი. შემთასებელმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის/შეუსაბამობის შესახებ ნაშრომის წარდგენიდან2 კვირის განმავლობაში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის (შემდგომში „კომისიის“) წინაშე. კომისიის შემადგენლობა, მის თავმჯდომარე და მდივანი, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებითა და დეკანის წარდგინებით, მტკიცდება რექტორის აქტით.

5. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები. კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ ხუთი წევრისა.

6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღს ადგენს ფაკულტეტის დეკანი დაცვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. დაცვის ორგანიზებისათვის ფაკულტეტის დეკანს შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი დეპარტამენტი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ინიშნება შესაბამისი სემესტრის სასესიო პერიოდში. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტროს დაცვამდე ორი კვირით ადრე ნაშრომის ერთი ეგზემპლარი გადასცეს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას.

7. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება ფაკულტეტის დეკანის აქტით, სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის პროცედურის გავლის შემთხვევაში.

8. დაცვა არის საჯარო. დაცვის პროცესზე და შედეგზე უნდა შედგეს ოქმი;

9. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

- სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას (15-25 წუთი);
- კითხვა-პასუხები;
- დისკუსიას;
- შეფასებას.

10. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი თემას წარმოადგენს ელექტრონული პრეზენტაციის ფორმით და აქცენტს აკეთებს თემის აქტუალობაზე, მიზანსა და ამოცანებზე, ინოვაციაზე. დაცვაზე უნდა აღინიშნოს კვლევის საგნის თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის ობიექტები და მეთოდები, საკუთარი შედეგები, დასკვნები.

11. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს აცნობს შემფასებლის დასკვნას.

12. საჯარო დაცვის პროცედურა გულისხმობს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას კომისიის დახურულ სხდომაზე.

13. კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ მაქსიმუმ 100 ქულით და ითვალისწინებენ შესაბამისი პროგრამით დადგენილ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

14. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

15. კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შესახებ მაგისტრანტს აცნობს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

16. დაცვის პროცედურის შესახებ ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი. კომისიის თითოეული წევრი სამაგისტრო ნაშრომისათვის მინიჭებულ ქულას აფიქსირებს შეფასების ფურცელში (დანართი 6) და ადასტურებს პირადი ხელწერით. შეფასების ფურცლებიდან სპეციალურ ოქმში (დანართი 7) შეფასებები გადააქვს კომისიის მდივანს, აქვე ფიქსირდება საბოლოო შეფასებაც. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ შეფასებას. შეფასების ფურცლები და საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები გადაეცემა დეკანატს და ისინი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.

17. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-18პუნქტის მიხედვით. კვლევითი კომპონენტი ითვლება შესრულებულად, თუ კომისია სამაგისტრო ნაშრომს შეაფასებს 51-100 ქულით. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა 41-50 ქულით, ან მაგისტრანტი არ გამოცხადდა დაცვაზე, მას უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომი ხელმეორედ წარუდგინოს კომისიას, იმავე სემესტრის დამატებით სასესიო პერიოდში.

18. თუ მაგისტრანტი არ გამოცხადდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით სასესიო პერიოდში, ან ნაშრომი დამატებით სასესიო პერიოდში შეფასდა 41-50 ქულით, მაგისტრანტი ვალდებულია მომდევნო სემესტრის დასაწყისში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია და დაარეგისტრიროს სამაგისტრო ნაშრომისთვის განკუთვნილი კრედიტები. მაგისტრანტი განმეორებით არეგისტრირებს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომს, თუ სამაგისტრონაშრომი შეფასდა 0-40 ქულით, ან არ იქნა დაშვებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე აპრობაციის გაუვლელობის გამო. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის განმეორებითი რეგისტრაციის უფლება ენიჭება მხოლოდ ერთხელ.

19. მაგისტრანტმა განმეორებითი დაცვის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 17. გამოცდების ჩატარების წესი

1. სასწავლო წლის მანძილზე თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტს უტარდება ერთი შუალედური გამოცდა და ერთი დასკვნითი გამოცდა.

1.1. გამოცდები ტარდება დეკანატის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ, გამოცდის მიმდინარეობას არ ესწრება კურსის წამყვანი პედაგოგი;

2. შუალედური გამოცდა ტარდება სასწავლო კურსის მიმდინარეობისას, ხოლო დასკვნითი გამოცდა სემესტრის დასრულების შემდგომ სასესიო პერიოდში.

3. შუალედური გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც წერით, ზეპირად ან კომბინირებული სახით სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე და პედაგოგის არჩევანის გათვალისწინებით. შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასება 20 ქულაა.

3.1. წერითი სახის შუალედური გამოცდა შეიძლება იყოს:

3.1.1. რამდენიმე თემიდან ერთ-ერთის შერჩევა ბრმად (ბილეთის სახით). თემის გამართულად დაწერის შემთხვევაში შეფასება 20 ქულაა;

3.1.2. რამდენიმე საკითხი ბილეთის სახით სხვადასხვა თემებიდან, ამ შემთხვევაში თითოეული სტუდენტი ირჩევს ბილეთს ცალკ-ცალკე; ბილეთში უნდა იყოს 4 საკითხი თითოეულის მაქსიმალური შეფასება 5 ქულაა;

3.2. ტესტის სახით.

3.2.1. ტესტი შეიძლება იყოს **დახურული** მრავლობითპასუხიანი სადაც სწორი პასუხი მხოლოდ ერთია. სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 0,5 ქულა;

3.2.2. ტესტი შეიძლება იყოს **დახურული** მრავლობითპასუხიანი, სადაც სწორი პასუხი შეიძლება იყოს 2, 3 ან 4. შეფასება სწორი პასუხების რაოდენობიდან გამომდინარე იქნება დიფერენცირებული 1-დან 2 ქულამდე, რადგან თითოეული სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება 0,5 ქულაა;

3.2.3. ტესტი შეიძლება იყოს ღია, სადაც სტუდენტმა თავად უნად ჩაწეროს პასუხი, შეფასება ამ შემთხვევაში 1 ქულიანია.

3.3. სიტუაციური ამოცანა, ან კლინიკური შემთხვევა. სტუდენტს ეძლევა 4 სიტუაციური ამოცანა, ან კლინიკური შემთხვევა, თითოეული ფასდება 5 ქულით;

1. დასკვნითი გამოცდა ტარდება ანალოგიური სახით, იმ განსხვავებით, რომ საგამოცდო თემატიკა მოიცავს მთლიანად სასწავლო კურსის მასალას.

4.1.და საგამოცდო ბილეთი მოიცავს 4 საკითხს, სადაც თითოეულის მაქსიმალური შეფასება 10 ქულაა.

4.2. ტესტის შემთხვევაში, თუ ტესტი ერთ სწორპასუხიანია, სტუდენტს ეძლევა 80 ტესტი თითოეულის მაქსიმალური შეფასება 0,5 ქულაა. ხოლო თუ ტესტი მრავალ სწორპასუხიანია მოხდება შესაბამისი რაოდენობის ტესტების შერჩევა პადაგოგის მიერ.

4.3.დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა.

5. საგამოცდო ტესტები უნდა მოიცავდეს განვლილ მასალას სრულად და უნდა იყოს სხვადასხვა ვარიანტად წარმოდგენილი, ყველა კითხვა უნდა იყოს შესაბამისი სირთულის და დონის, მაგრამ განსხვავებული ინტერპრეტაციით.

6. გამოცდის ბარიერი გაწერილია მეცხრე მუხლში;

7. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის შედეგები იწვევ ეჭვს (ჯგუფში 100% შეფასების, ან გადაწერის, ან ტესტის გაცემის შემთხვევაში), დეკანატს აქვს უფლება გადაამოწმოს შედეგები ხარისხის სამსახურთან და კურსის წამყვან პედაგოგთან ერთად კომისიური წესით ზეპირი გასაუბრების სახით, ან საერთოდ გაუქმდეს გამოცდის შედეგი და ჩატარდეს თავიდან კომისიური წესით.

8. სტუდენტს აქვს უფლება გააპროტესტოს გამოცდის შედეგი შეფასების გამოცხადებიდან 24 საათში, გამოითხოვოს ნაწერი, გავიდეს განმეორებით გამოცდაზე იგივე პედაგოგთან კომისიური წესით ან მოითხოვოს სხვა პედაგოგთან ჩაბარება ასევე კომისიური წესით.

8.1. თუ სტუდენტი დასაბუთებს თავის ცოდნას გამოცდის შედეგი შიძლება შეიცვალოს;

9. დაუშვებელია დასკვნით გამოცდაზე გადაწერა, მობილურის გამოყენება და საუბარი. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ერთი გაფრთხილების შემდგომ სტუდენტი ტოვებს გამოცდას და მისი შედეგი ანულირდება.

10. გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ კალმით. საგამოცდო ბილეთები და სამუშაო ფურცლები სტუდენტს ეძლევა აუდიტორიაში.

- 11. გამოცდაზე დაუშვებელია საკვების შეტანა;**
- 12. დაუშვებელია გამოცდიდან გასვლა ნებართვის გარეშე.**

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე საგანმანათლებლო
პროგრამებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

სასწავლო გეგმა

N	სასწავლო კურსების/მოდულუ ლების და სხვ. დასახელება	კრედიტულისრაოდენობა	საათები										კრედიტულის განაწილებასემესტრებისმიხედვით									
			მათ შორის										კრედიტულის განაწილებასემესტრებისმიხედვით									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	
ძირითადი სასწავლო კურსები/ მოდულები																						
არჩევით სასწავლო კურსები/ მოდულები																						
სულ	360									30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30

კომპეტენციების რუქა

სილაბუსის ნიმუში

სასწავლო კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კურსის ტიპი	ლექცია	პრაქტიკული	ECTS
ზუსტი დასახელება	ანიჭებს ფაკულტეტი	რომელ სემ ისწავლება	სავალდებულო კურსია თუ არჩევითი.	საკონტაქტო მუშაო- ბისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობის მითითებით.	საკონტაქტო მუშაო- ბისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობის მითითებით.	კრედიტების რაოდ ენობა
ფაკულტეტი, პროგრამა	მიეთითება ფაკულტეტი და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება					
სასწავლო კურსის განმახორციელებელ ი/ები	ინფორმაცია კურსის სწავლებაში ჩართულ პირთა შესახებ - სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა/მოწვევული პედაგოგი, მასწავლებელი, დეპარტამენტის დასახელება, საკონტაქტო ინფორმაცია, კონსულტაციის დღეები და საათები					
სასწავლო კურსის ფორმატი	მიეთითება მეცადინეობების ფორმატი (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, ლაბორატორიული მეცადინეობა, კურაცია და ა.შ)					
სასწავლო კურსის მოცულობა	<p>სულ --- სთ საკონტაქტო --- სთ</p> <ol style="list-style-type: none"> ლექცია --- სთ, ჯგუფში მუშაობა --- სთ შუალედური გამოცდა --- სთ დასკვნითი გამოცდა --- სთ <p>დამოუკიდებელი მუშაობა --- სთ</p>					
წინაპირობები	მიეთითება კონკრეტული სასწავლო კურს(ებ)ი, რომლის ათვისებაც სავალდებულოა მოცემული სასწავლო კურსის შესასწავლად, ან მიეწეროს - "წინაპირობა არა აქვს" (პრერეკვიზიტული საგანი სასურველია განისაზღვროს ზუსტად, აუცილებლობიდან გამომდინარე და არ იყოს ძალიან ბევრი)					
სასწავლო კურსის/მოდულის	აღიწეროს მოკლედ და მკაფიოდ					

მიზანი	
სწავლების მეთოდები	<p>უნდა აღიწეროს სწავლების მეთოდოლოგია, რა მეთოდები იქნება გამოყენებული სწავლის შედეგების მისაღწევად, მაგ. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი - ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა; ლაბორატორიული სამუშაო - ცდის ჩატარება და მიღებული შედეგის ანალიზი და ინტერპრეტაცია; დისკუსია/დებატები - რაიმე საკითხზე მსჯელობა, მოსაზრებების გამოთქმა, კამათი რამდენიმე სტუდენტის ან მთელი ჯგუფის მონაწილეობით, არგუმენტირებული დასკვნის უნარის გამომუშავების მიზნით; ბლიც გამოკითხვა - გავლილი მასალის ფარგლებში შეკითხვების დასმა, რომელიც ხელს უწყობს გავლილი მასალის მიმდინარე მასალასთან კორელაციაში გაცნობიერებას და მისი ანალიზის უნარს; ანალიზი - მონაცემების ინტერპრეტაცია, კლასიფიკაცია, შეფასება; სინთეზი - საკითხის შესწავლა, აღქმა ერთიანობაში, მისი შემადგენელი კომპონენტების შერწყმა - დაკავშირების საშუალებით; წიგნზე მუშაობის მეთოდი - ლიტერატურის დამუშავება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დამატებითი მასალის მოძიება და დამუშავება; როლური - ექიმი-პაციენტი თამაშები; პრაქტიკული უნარების დემონსტრირება - პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით პედაგოგის ზედამხედველობით კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება; კლინიკურ გარემოში სწავლება, კონსულტაცია - პედაგოგთან ინდივიდუალური შეხვედრა გაურკვეველ, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ მიეთითოს მხოლოდ ის მეთოდი/ები, რომელი მეთოდიც ორიენტირებულია კონკრეტული სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად</p>
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც 60 ქულა გათვალისწინებულია შუალედური შეფასებებისთვის, 40- დასკვნითი გამოცდისთვის. შუალედური შეფასების 60 ქულიდან 40 ქულას პედაგოგი თავად ანაწილებს ამა თუ იმ კომპონენტზე სასწავლო კურსის შინაარსის და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით, 20 ქულა კი განსაზღვრულია შუალედური გამოცდისთვის, რომელიც ტარდება ტესტირებული (ღია/დახურული შეკითხვა) ფორმით (ტესტი შედგება -----შეკითხვისგან, თითოეული შეკითხვა ფასდება -----ქულით).</p> <p>დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელიც შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 11 ქულას.</p> <p style="text-align: center;">შუალედური შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასწრება; • აქტივობა; • ქვიზი; • პრეზენტაცია;

	<ul style="list-style-type: none"> კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება; ავადმყოფობის ისტორიის წარმოება; კლინიკაში მორიგეობა და ა.შ. <p>თითოეული კომპონენტისთვის პედაგოგი განსაზღვრავს მაქსიმალურ ქულას და დაწვრილებით გაწერს, თუ რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა.</p> <p>დასკვნითი გამოცდა ტარდება ასევე ტესტირებული (ღია/დახურული შეკითხვა) ფორმით (ტესტი შედგება -----შეკითხვისგან, თითოეული შეკითხვა ფასდება -----ქულით).</p> <p>სტუდენტს კრედიტი მიენიჭება იმ შემთხვევაში თუ მან დააგროვა 100-დან მინიმუმ 51 ქულა.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა; <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. <p>სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.</p> <p>დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.</p>
ძირითადი ლიტერატურა	მიეთითება ყველა ის ძირითადი ბეჭდური ან ელექტრონული სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება სასწავლო კურსის შესწავლისთვის (აუცილებლად უნდა იყოს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში)
დამსმარე ლიტერატურა	მიეთითება შინაარსში გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ არ-სებული დამატებითი ლიტერატურა და სხვა რესურსი

სასწავლო კურსის შინაარსი

კვირა	თემატიკა	ლექცია (სთ)	ჯგუფური მუშაობა (სთ)
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			2
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15	შუალედური გამოცდა *თუ საგანი კურაციული წესით ტარდება შუალედური გამოცდა ჩატარდება კურაციის დასრულებისთანავე, სხვა შემთხვევაში კურსის შუაში.		2
	დასკვნითი გამოცდა		2

სწავლის შედეგი

კრიტერიუმები	კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი
კომუნიკაციის უნარი	თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე
ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა
სავალდებულო არ არის ყველა სასწავლო კურსი გადიოდეს ექვსივე კომპეტენციაზე. პედაგოგის მიერ კარგად უნდა იქნეს გაანალიზებული რომელ კომპეტენციას უმუშავებს სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსი	

დანართი 3

“ბაჟ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის

სასწავლო ხელშეკრულება (ზაკალავრიატი, მაგისტრატურა)

სასწავლო წელი

სტუდენტის გვარი, სახელი:	
პირადი ნომერი:	
ფაკულტეტი:	
ძირითადი სპეციალობა:	
დამატებითი სპეციალობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
უნივერსიტეტის ჩარიცხვის წელი:	

ძირითადი სპეციალობის მოდულები/სასწავლო კურსები

დამატებითი სპეციალობის მოდულები/სასწავლოკურსები

თავისუფალი კომპონენტების (არჩევითი) მოდულები/სასწავლო კურსები				
№	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

ხელმეორედ შესასწავლი მოდულები/სასწავლო კურსები				
№	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

სტუდენტი	
ვადასტურებ, რომ ვიცნობ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს	
თარიღი:	
ხელმოწერა:	
ფაკულტეტი	
ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტმა _____ - _____ სასწავლო წლისათვის აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ფაკულტეტთან გააფორმა წინამდებარე სასწავლო ხელშეკრულება.	
ფაკულტეტის დეკანი	მდივანი
თარიღი:	თარიღი:
ხელმოწერა:	ხელმოწერა:

“ბაუინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის
სასწავლო ხელშეკრულება (ერთსაფეხურიანი მედიცინის პროგრამა)

_____ სასწავლო წელი

სტუდენტის გვარი, სახელი:	
პირადი ნომერი:	
ფაკულტეტი:	
სპეციალობა:	
უნივერსიტეტი ჩარიცხვის წელი:	

საგალდებულო სასწავლო კურსები				
№	სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა
არჩევითი სასწავლო კურსები				
№	სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა
ხელმეორედ შესასწავლი სასწავლო კურსები				
№	სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

სტუდენტი

ვადასტურებ, რომ ვიცნობ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს და განსაზღვრული აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

თარიღი:	
ხელმოწერა:	
ფაკულტეტი	
ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტმა <u> </u> - <u> </u> სასწავლო წლისათვის აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ფაკულტეტთან გააფორმა წინამდებარე სასწავლო ხელშეკრულება.	
ფაკულტეტის დეკანი	მდივანი
თარიღი:	თარიღი:
ხელმოწერა:	ხელმოწერა:

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი

” _____ ” 2014 წ.

კერძო სამართლის იურიდიული პირი სასაწავლო უნივერსიტეტი „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“ (ს/ნ 4454348880 (შემდგომში „უნივერსიტეტი“) – ერთის მხრივ, რომელსაც წარმოადგენს _____
 _____ და მეორეს მხრივ უნივერსიტეტის _____
 _____ ფაკულტეტის სტუდენტი _____ (შემდგომში „სტუდენტი“)
 დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულაცია.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 2.1. მხარეები სარგებლობენ საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებით.
- 2.2. სტუდენტი აღიარებს რა, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ წესდებას, შინაგანაწესს, „სწავლის საფასურის გადახდის წესს“, და შესაბამისი ფაკულტეტის დებულებას, ვალდებულია:
 - ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს სწავლასთან დაკავშირებით დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით, სხვადასხვა აქტებით (ბრძანებებით, გადაწყვეტილებებით, დადგენილებებით) განსაზღვრული მოთხოვნები;
 - ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;
 - გ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები;
 - დ) ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ უნივერსიტეტის აქტებში შეტანილ ცვლილებებს ან/და იმ აქტებს, რომელიც შეეხება სტუდენტს, გაეცნოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებ-გვერდზე
 - ე) სისტემატიურად გაეცნოს უნივერსიტეტის ინიციატივით, საკუთარ სახელზე გახსნილ ელექტრონულ მისამართს, რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და აქტები;

2.3. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტი:

- ა) ხარისხიანი განათლებით;
- ბ) მეცნიერულ კვლევაში მონაწილეობით;
- გ) სწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- დ) შესაბამისი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით;
- ე) უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

მუხლი 3. სწავლის საფასური

- 3.1. პროგრამაზე სწავლის საფასური (ერთი სასწავლო წლისათვის) შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის უნივერსიტეტის მომსახურესაბანკო დაწესებულებაში, დამტკიცებული „სწავლის საფასურის გადახდის წესი“-ს შესაბამისად;
- 3.3. სემესტრის დაწყებისა და დასრულების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- 3.4. ამ მუხლში აღნიშნული „სწავლის საფასურის გადახდის წესი“ შეიძლება შეიცვალოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;
- 3.5. უცხოური ვალუტით დადგენილი სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება გადასახადის დარიცხვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით უცხოურ ვალუტასთან;
- 3.6. სტუდენტი, თავისი მიზეზით საგნის (კრედიტების) განმეორებით ათვისების საჭიროების შემთხვევაში, სწავლის საფასურს იხდის ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, თანახმად „სწავლის საფასურის გადახდის წესის“ მოთხოვნებისა;
- 3.7. აკადემიური ან/და ფინანსური დავალიანების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის, ასევე არაჯეროვანი შესრულებისათვის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტს არ უბრუნდება გადახდილი სწავლის საფასური, ხოლო აღდგენის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში იხდის მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილ სწავლის საფასურს.
- 3.8. სტუდენტისაგან გამოწვეული მიზეზით (ფინანსური დავალიანება, აკადემიური შვებულება და სხვა) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტის სტატუსში აღდგენის პერიოდისათვის დადგენილი ოდენობით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ----- და მოქმედებს მის შეწყვეტამდე;
- 4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- 4.3. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
- ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვა, გარდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა;
 - დ) უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით, სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები;
 - ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა;
- 4.4. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის, ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი საფასურის შეცვლის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად ძალაშია უნივერსიტეტის შესაბამისი უახლესი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 5. განსაკუთრებული პირობები

- 5.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება აკადემიურ შვებულებაში გასვლისას, ავადმყოფობის შემთხვევაში, უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლისას ან ფინანსური დავალიანებისას უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 6. სხვა პირობები

- 6.1. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით;
- 6.2. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- 6.3. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა აითვლება უნივერსიტეტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აქტის გამოცემის პერიოდიდან.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

- 7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
- 7.2. ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
- 7.3. მხარეთა რეკვიზიტები:

“უნივერსიტეტი”

სასწავლო უნივერსიტეტი „ბაჟ
ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი“
წარმომადგენელი, რექტორი
ისმეთ დინდარ
ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქუჩა #14/
(გენ. ა. აბაშიძის, ბაგრატიონის ქუჩების
კვეთა)
ბანკი: -----
ხელმოწერა -----

”სტუდენტი“

სახელი, გვარი -----
პირადობის მოწოდის №-----
პირადი №-----
ფაქტობრ. მისამთ.-----
რეგისტრ.მისამ. -----
ტელეფონი -----
ელ. ფოსტა-----
ხელმოწერა -----

**“ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი” სასწავლო უნივერსიტეტის
სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფურცელი №**

“___” 201 წ.

ფაკულტეტის დასახელება _____

სპეციალობა _____

მაგისტრანტი _____

შეფასების კომპონენტები:

No	კომპონენტის დასახელება	კომპონენტის მაქსიმალური ქულა	კომისიის წევრის მიერ მინიჭებული ქულა
1			
2			
3			
4			
5			
კომისიის წევრის მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამი			

კომპონენტების შეფასებათა მაქსიმალური მაჩვენებლების ჯამი უნდა შეადგენდეს 100 ქულას.

კომისიის წევრი _____
(სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა)

ხელმოწერა _____

“ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის
სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემაჯამებელი სხდომის
ოქმი №

”—“ 2017.

ფაკულტეტი _____

სპეციალობა _____

მაგისტრანტი (სახელი, გვარი) _____

სამაგისტრო ნაშრომის თემა _____

სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ _____

კომისიის თავმჯდომარე _____

(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

კომისიის წევრები

(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

კომისიის მდივანი -----

(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

სამაგისტრო ნაშრომისათვის კომისიის ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულა:

№	კომისიის წევრი	აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი	შეფასება (0-100 ქულა)

სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა (შეფასება განისაზღვრება ცალკეული წევრის მიერ
მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით) ”_____” ქულით.

კომისიის წევრთა დასტური სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაზე:

კომისიის წევრთა ხელწერები:

კომისიის თავმჯდომარე

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

კომისიის მდივანი _____

შენიშვნა:

ოქმი ინომრება ცალკეული მაგისტრანტისთვის დაცვის რიგითობის შესაბამისად. დაცვის
შემდეგ ოქმი გადაეცემა ფაკულტეტის სამდივნოს და ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
ოქმის მართებულ წარმოებაზე პასუხისმგებელიათავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

The Teaching University "BAU International University, Batumi "

სასწავლო უნივერსიტეტი "ბათ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი"

Assessment Sheet

შეფასების უწყისი N

Faculty	
ვაკულტეტი:	
Education Program	
საგანმანათლებლო პროგრამა:	
Education level	
სწავლების საფეხური:	
Year of Study	
სასწავლო წელი:	
Semester	
სემესტრი:	
Learning Course Code	
სასწავლო კურსის კოდი:	
Learning Course Title	
სასწავლო კურსის დასახელება (ინტეგრ. დისციპლინებითურთ):	
Integrated Disciplines ინტეგრირებული დისციპლინები	
Number of Credits	
კრედიტების რაოდენობა:	
Teacher's Status	Prof./Assoc.Prof./Assist.Prof/Invited Teacher
პედაგოგის სტატუსი:	პროფ./ასოც.პროფ./ასისტენტ პროფ./მოწვეული პედაგოგი:

8								
9								
10								
11								
12								
13								
14								
15								

Student's assessment has to be done in the following way:

Positive rate:

Please indicate the number of students of the appropriate scores

- (A) Excellent- 91 or more scores; -----;
- (B) Very Good- 81-90 scores; -----;
- (C) Good- 71-80 scores; -----;
- (D) Satisfactory- 61-70 scores; -----;
- (E) Enough- 51-60 scores; (FX) Failure - 41-50 scores, -----;

Negative rate:

- (FX) Failure - 41-50 scores, which means that a student needs to work more and an independent and considerable further work is required to pass the exam once again to be re-awarded; -----;
- (F) Fail - 40 scores or less, which means that the student's diligence is not sufficient and student has to learn the subject all over again. -----;

The current activity should not be less than **11 scores**, in case of less 11 score the student is not allowed to pass the final exam and will be assessed as "failed".

The final exam would accounted as passed in case of maximum **28** or more

The assessment sheet should be completed clearly, any corrections are allowed

დადებითი შეფასებები:

(მიუთითეთ შესაბამისი შეფასების მქონე სტუდენტთა რაოდენობა)

- A ფრიადი - 91-100 ქულა -----;
- B ძალიან კარგი - 81-90 ქულა -----;
- C კარგი - 71- 80 ქულა -----;
- D დამაკმაყოფილებელი - 61- 70 ქულა -----;
- E საკმარისი - 51-60 ქულა -----

უარყოფითი შეფასებები:

- FX ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 %-----;
- F ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 0-40 % -----.

მიმდინარე შეფასებებში **11 ქულაზე** ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე

არ დაიშვება და შეფასებად ფიქსირდება „ჩაიჭრა“.

დასკვნით გამოცდაზე 28 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდა არ ითვლება ჩაბარებულად.
(უწყისი უნდა შეივსოს მკაფიოდ, მასში დაუშვებელია ჩასწორებები).

Teacher/Prof./პროფესორი/ მოწ. პედაგოგი:

Dean of Faculty/ ფაკულტეტის დეკანი:

Vice Rector/ რექტორის მოადგილე: